

საქართველოს კანონში „პატიმრობის კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

## მუხლი 1

### 1. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:

„ნ. აღმინისგრატიის შესაბამის უფლებამოსილ პირს ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის აღრესაგი ან აღრესანგი არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, სამოგადოებრივი მონიტორი ან მისი წარმომადგენელი, დამცველი, პროკურორი.

### 2. საქართველოს კანონს „პატიმრობის კოდექსი“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 32<sup>1</sup>-32<sup>3</sup> მუხლები:

#### “მუხლი 32<sup>1</sup>. სამოგადოებრივი მონიტორი

1. სამინისტროში და პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა უფლებების დაცვის გეგამხელეულობის მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით, სამოგადოებრივი მონიტორის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოში რეგისტრირებულ ა(ა)იპ-ებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამავე კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სამოგადოებრივი მონიტორი შესაძლოა იყოს ა(ა)იპ, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მის საწესდებო მიზანს წარმოადგენს: ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობის ან მართლმსაჯულების სფეროს რეფორმის ხელშეწყობა;

ბ) სახელმწიფოში რეგისტრირებულია ავტორიზაციის განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 4 წლით ადრე;

გ) მისი საქმიანობა ეფუძნება ღიაობის პრინციპს, რაც მოითხოვს ორგანიზაციის საწესდებო მიზნების, სტრუქტურის, საქმიანობის ფორმებისა და ფინანსური წყაროების საჯაროდ ხელმისაწვდომობას;

დ) ორგანიზაციის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა მონიტორის საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

3. ა(ა)იპ, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით სამოგადოებრივი მონიტორისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ავტორიზაციისათვის მიმართავს საქართველოს პარლამენტში შექმნილ სპეციალურ ავტორიზაციის საბჭოს და განაცხადს თან უერთავს მის წარმომადგენელთა (ფიზიკურ პირთა) მონაცემებს, რომლებიც, ორგანიზაციის რწმუნების საფუძველზე, განახორციელებენ მონიტორინგს სასჯელაღსრულებს სისტემაში. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია უკვე ავტორიზებულია და სურს

დამატებით წარმომადგენელთათვის უფლებამოსილების მინიჭება ან ცვლილება, აღნიშნულის დადასტურების შესახებ განცხადებით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს.

4. ავტორიზაციის საბჭო ამოწმებს განმცხადებლის შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან და შესაბამისობის შემთხვევაში ანიჭებს მას მონიტორის უფლებამოსილებას, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს.

5. ავტორიზაციის საბჭომ მიმართვიდან 1 თვის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციისათვის ავტორიზაციის მინიჭების, ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის ან წარმომადგენელთათვის უფლებამოსილების დადასტურების შესახებ.

6. მონიტორის უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2 წლის ვადით. წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურება უნდა მოხდეს არაუმეტეს მარწმუნებელი ორგანიზაციისათვის ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღამდე. ერთ მონიტორს ერთდროულად შესაძლოა ყავდეს არაუმეტეს 20 წარმომადგენელი.

7. სამოგალოებრივი მონიტორი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილება დასტურდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული რწმუნებით.

8. ერთი და იგივე ფიზიკური პირი იმავდროულად შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამოგალოებრივი მონიტორის წარმომადგენელი.

9. სამოგალოებრივი მონიტორის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომელიც ნასამართლევაა განზრახ დანაშაულისათვის და არ გასულა 3 წელი ნასამართლობის გაქარწყლებიდან (მოხსნიდან), ან პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ბ) ბრალდებული;

გ) 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირი;

დ) საჯარო მოსამსახურე ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობისა და პოლიტიკური თანამდებობის პირი;

ე) საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრი.

## **32<sup>2</sup>. სამოგალოებრივი მონიტორის ავტორიზაციის საბჭო**

1. საქართველოს პარლამენტში იქმნება სამოგალოებრივი მონიტორის ავტორიზაციის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი;

გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ან მისი წარმომადგენელი;

დ) საპარლამენტო უმრავლესობის (ან ასეთის არარსებობს შემთხვევაში, იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავს) წარმომადგენელი;

ე) საპარლამენტო უმცირესობის (ან ასეთის არარსებობს შემთხვევაში, იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც სიდიდით მეორე ფრაქცია ჰყავს) წარმომადგენელი;

ვ) ა(ა)იპ-ების მიერ წარდგენილი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული 3 წარმომადგენელი.

2. ავტორიზაციის საბჭოს არჩევითი წევრის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ა(ა)იპ-ს, რომელსაც არ აქვს სამოგალოებრივი მონიტორის სტატუსი, თუმცა ამავდროულად აკმაყოფილებს მონიტორისთვის ამ კანონით დაწესებულ მოთხოვნებს. წარდგენილ კანდიდატებს პარლამენტი კენჭს

უკრის ინდივიდუალურად და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის უმრავლესობისა. თუ ასარჩევია ერთზე მეტი წარმომადგენელი, მაშინ კენჭისყრით გამოვლინდება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი წარმომადგენლის ადგილიც ვაკანტურია. ავტორიზაციის საბჭოს არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადა 2 წელია.

3. ავტორიზაციის საბჭო, ამ კანონის შესაბამისად, ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) საზოგადოებრივი მონიტორის ავტორიზაციას, რაც მოიცავს ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილ წარმომადგენელთა უფლებამოსილების დადასტურებასაც;

ბ) უკვე ავტორიზებული საზოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დადასტურებას ან ცვლილებას;

გ) მონიტორი ორგანიზაციების წარდგინებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით, მონიტორთა ქცევის კოდექსის დამტკიცებას და მასში ცვლილებების და დამატებების განხორციელებას;

დ) საბჭო, სრული შემადგენლობის 2/3-ით, იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი მონიტორის ან მისი წარმომადგენლის მიერ კანონმდებლობის ან/და მონიტორთა ქცევის კოდექსის უხეში ან არაერთგმის დარღვევის შემთხვევაში ავტორიზაციის გაუქმების ან წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ, რასაც, ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, ახლავს მონიტორი ორგანიზაციისათვის 3 წლის ვადით ავტორიზაციის საბჭოსადმი ავტორიზაციის მოთხოვნით მიმართვის უფლების შეზღუდვა, ხოლო წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, იმავე ფიზიკური პირისთვის 3 წლის ვადით წარმომადგენლის სტატუსის მოპოვების შეზღუდვა;

ე) სხვა უფლებამოსილებებს, რაც გამომდინარეობს მისი შექმნის მიზნებიდან.

4. ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5. ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაცია და სხვა საკითხები განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც, საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე. დებულებაში ცვლილებების განხორციელება ხდება დებულების მიღებისათვის დადგენილი წესით.

### **32<sup>3</sup>. საზოგადოებრივი მონიტორის საქმიანობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები**

1. საზოგადოებრივი მონიტორი (მისი წარმომადგენელი) ამოწმებს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას; პირადად ხვდება და ესაუბრება პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს მათი აღნიშნულ დაწესებულებებში ყოფნის დამადასტურებელ და სხვა, მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაციას.

2. ავტორიზაციის საბჭოს მიერ წარმომადგენელთა უფლებამოსილების დადასტურების დროს, მონიტორის მოთხოვნის საფუძველზე, განისაზღვრება იმ პირთა წრე, ვისაც მსჯავრდებულის ან პატიმრის თანხმობის გარეშე შეუძლია მისი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობა.

3. პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიმართ მოპყრობის რეგულარული შემოწმების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელი:

ა) მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით ხვდება და ესაუბრება პატიმრობაში მყოფთ ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს, აგრეთვე იმ პირებს,

რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა ან დაწესებულების თანამშრომელთა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) ამოწმებს პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა იქ ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

გ) შესაბამისი ორგანოსა და ორგანიზაციისგან წერილობით მოითხოვს და კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციისთვის დადგენილ ვადაში მიიღებს ყველა სახის ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, რომელიც კავშირშია მისი უფლებამოსილების შესრულებასთან.

4. სამოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენლის შეხვედრა პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, ასევე, დაწესებულების თანამშრომლებთან და სხვა პირებთან, კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.

5. სამოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს მონიტორის წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებისას. მას ეს უფლება უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

6. სამოგადოებრივი მონიტორი (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

ბ) საკუთარი უფლებამოსილება გამოიყენოს კეთილსინდისურად;

გ) დაიცვას მონიტორთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები.

7. სამოგადოებრივი მონიტორი, წელიწადში ერთხელ, ინდივიდუალურად ან სხვა მონიტორებთან ერთობლივად, ამზადებს ანგარიშს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყოფს მის საჯაროდ გამოქვეყნებასა და ინტერნეტით ხელმისაწვდომობას.

### **3. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მე-60 მუხლის 1 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:**

„თ. სამოგადოებრივი მონიტორის წარმომადგენელი“

### **4. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 82-ე მუხლის მენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:**

„მენიშვნა: დისციპლინური გადაცდომისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემლუღვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რაგიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, სამოგადოებრივი მონიტორი ან მისი წარმომადგენელი, დამცველი, პროკურორი.“

### **5. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 98-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:**

„5. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს/სამოგალოებრივ მონიტორს ან მის წარმომადგენელს.“

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი  
გიორგი მარგველაშვილი